წელიწადი მეორე. — № 22. პარიჟი, 15 (2) მარტი 1905 წ.

# საქართველო

ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ორგანო

წლიური ფასი . . . . . . . . . . . . 5 მანეთი.
თითო ნომერი . . . . , . . . . . . — 25 კაპ.

რედაქციისა და ადმინისტრაციის ადრესი :
51, rue Saint-Sauveur, PARIS.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

რევოლუციის დასაწყისი. — მღვდელ გაპონის წერილები : წერილი ხელმწიფისადმი ; წერილი პეტერბურგის მუშათა და მთელის რუსეთის პროლეტარიატის მიმართ. — სარევოლუციო მოძრაობა საქართველოში (კორესპონდენციები და ამბები : ტფილისიდგან, სიღნაღიდან და სოხუმიდან). — მანიფესტი საფრანგეთის მუშათა სინდიკატების კავშირისა. — კიდევ ერთი სიკვდილით დასჯა. — მანიფესტი და რესკრიპტი. — რუსის ხალხი და რევოლუცია. — რუს. მთავრ. და ევროპის პრესა.

## რევოლუციის დასაწყისი

როდესაც ისტორიულ ასპარეზზე ხალხი სამოქმედოთ გამოდის და როდესაც ხალხისა და არსებულ სოციალ-პოლიტიკურ ძალთა შორის ამის გამო შეტაკება და ბრძოლა იბადება, რევოლუცია სწორედ ამ დღიდამ იწყება.

ოპოზიციონური ბურჟუაზია რუსეთის მთავრობას არ აშინებს. ლიბერალ-კონსტიტუციონალისტები ამ უკანასკნელ ხუთ თვის განმავლობაში მთავრობამ თავისუფლად ალაპარაკა. მათი ადრესები და პეტიციები, რასაკვირველია, მას ვერაფრად ეჭაშნიკებოდა. ხოლო მთავრობის თვალში ლიბერალურ ხასიათის ადრესებს და პეტიციებს არსებულ პოლიტიკურ რეჟიმის შერყევა არ ძალუძთ. ამიტომ მაინც და მაინც თავს არ იწუხებდა კონსტიტუციონალურ ხასიათის აგიტაციის გამოცოცხლებით.

ერთად-ერთი კლასი, რომლისაც მთავრობას ეშინიან — ხალხია, პროლეტარიატი და გლეხობა. რაკი ხალხიც იმავე გზას დაადგა და სოციალურ მოთხოვნილებასთან ერთად რეჟიმის შეცვლაც მოითხოვა, საქმემ უიმედო ხასიათი მიიღო მთავრობისათვის. და რომ სწორედ ასეთია ფიქრი მთავრობისა, მან ეს 9 იანვარს აშკარად დაამტკიცა, როდესაც იმსხვერპლა აუარებელი უმანკო სიცოცხლე, როდესაც პეტერბურგის ქუჩებში უარაღო მუშებს ხოცვა დაუწყო. ეგ იყო აქტი თავზარდაცემულ და გზა-კვალ აბნეულ მთავრობისა.

ხოლო იმ დღეს, მხეცურ ჟლეტისა და ხოცვის ჟამს, სრულდებოდა დიდი ისტორიული საქმე — თვითმპყრობელობას სამირკველი ენგრეოდა. საშინელ ბარბაროსობის მნახველმა ხალხმა უარჰყო თავისი ხელმწიფე, რომლისადმი წინად ჯერ კიდევ უღვივოდა გულში ნდობა და სიყვარული. და ხოცვის ამბავმა მიაღწია თუ არა რუსეთის პროვინციებამდის : პოლონეთამდე, ბალტიის პროვინციამდე, კავკასიამდე და სხვაგან, ყველგან იგივე განმეორდა, ყველგან იგივე დავინახეთ, ყველგან ხალხმა უარჰყო სისხლის მსმელი თვითმპყრობელობა. და რევოლუცია დაიწყო მთელ რუსეთის იმპერიაში.

ამ « რევოლუციის » დიდმნიშვნელოვან თვისებად ის უნდა ჩაითვალოს, რომ მისი ხელმძღვანელი, სულის ჩამდგმელი ბურჟუაზია კი არ არის, არამედ თვით ხალხია, პროლეტარიატი და ზოგიერთ ადგილებში გლეხობაც.

ამ გარემოებამ დასაწყისშივე რევოლუციონურ მოძრაობას სოციალური ელფერი მისცა. პროლეტარიატი, რასაკვირველია, დემოკრატულ კონსტიტუციის მომხრეა — პეტერბურგის მუშებმა ნათლად აღიარეს ეს აზრი. — მაგრამ ყველგან, საცა კი მუშებმა საერთო გაფიცვა მოახდინეს, ყველგან ამბოხების და გაფიცვის საფუძვლად იყო ეკონომიური გაჭირვება, ყველგან სოციალურ პირობების წინააღმდეგ გამოაცხადეს მუშებმა პროტესტი, ყველგან, როგორც ერთმა კაცმა, 8 საათის სამუშაო დღის შემოღების საჭიროება აღიარეს. ასე რომ მაშინ, როდესაც ლიბერალებს თავიანთ ადრესებსა და პეტიციებში მარტო « დამფუძნებელ კრების » (**учред- собраніе**) შესახებ ჰქონდათ ლაპარაკი, მუშებმა დაასახელეს ის, რაც უნდა იყოს და იქნება კიდევაც რევოლუციის საფუძველი.

ამგვარ მოვლენას ფრიად საგულისხმო შედეგი მოჰყვება. ადვილად შესაძლებელია, რომ « რუსეთის რევოლუცია » ამ სახით ჩქარის ნაბიჯით მიუახლოვდეს იმ საზღვარს, სადაც თავდება ბატონობა კაპიტალისა და დამონება შრომისა ; ადვილად მოსალოდნელია, რომ მ.ს ახლო მომავალში სოციალურ რევოლუციის მიმართულება მიეცეს.

* *
*

დღევანდელ ისტორიულ მომენტში ჩვენი პოზიციაც ნათელი უნდა იყოს. ქართველ პროლეტარიატს და ქართველ გლეხობას რუსეთის პროლეტარიატსა და გლეხობასთან ერთად ერთგვარი მატერიალური და კულტურული ინტერესები აქვსთ. განსხვავება ჩვენსა და რუსეთს შორის მხოლოდ იმაშია, რომ კავკასიელ ხალხთ თავიანთ ეროვნულ-კულტურულ ინტერესების დასაკმაყოფილებლად განსაკუთრებული პოლიტიკური ორგანიზაცია სჭირდებათ.

ხოლო იგი განსხვავება იმგვარი ხასიათისა არ არის, რომ რუსეთის რევოლუციის და ჩვენს შორის არსებულ სოლიდარობას ავნოს. დღეს ჩვენ უნდა ვეძებდეთ რევოლუციონურ ძალთა გაერთიანებას. ხოლო უმთავრესი ცდა რევოლუციონერთა დღეს უნდა იყოს მიმართული იმისაკენ, რომ რევოლუციამ

თავის «სოციალურ» მიზანს არ უმტყუნოს და რომ ბიუროკრატულ ელემენტების ზედგავლენით მას მარტო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის ხასიათი არ მიეცეს.

და ამ მხრივ ჩვენ საგულისხმო გაკვეთილს გვაძლევენ გურული რევოლუციონერები. გურიაში მდგომარეობა ამნაირია: მემამულენი გარბიან, სტოვებენ თავიანთ სახლ-კარს. მათი გაქცევა იმითი აიხსნება, რომ გლეხები ემუქრებიან და მამულების ექსპროპრიაციის სურვილს აცხადებენ. ხალხი მთავრობის სამსჯავროში აღარ დადის. და ბევრმა ხალხის შიშით საჩივრებზე ხელი აიღო. ოზურგეთის მსაჯულს გამოუცხადებია, არავითარი საქმე აღარა მაქვსო, ხალხი ჩემთან აღარ დადისო. ყველა საქმეებს თურმე ხალხის მიერ ამორჩეული სამსჯავრო სწყვეტავს.

რომ დავუფიქრდეთ ამ შესანიშნავ და არაჩვეულებრივ გარემოებას, დავინახავთ, რომ ჩვენს ხალხს, ერთ მის ნაწილს მაინც, ნამდვილად გაუგია, რაში მდგომარეობს სოციალური რევოლუცია. შრომის განთავისუფლების და კერძო საკუთრების მოსპობასთან ერთად, იგი აღიარებს ნამდვილ კომუნალურ ტენდენციებს: იგი ირჩევს დღეს საკუთარ სამსჯავროს. აქედამ ერთი ნაბიჯია თავისუფალ «კომუნის» აღიარებამდე. იმ ხალხს, რომელსაც ამგვარი მეთაურნი მებრძოლნი ჰყავს, მომავლის არ უნდა ეფიქრებოდეს!

გურიის მაგალითი სხვათა შორის იმასაც გვიჩვენებს, რომ ჩვენში რევოლუციაში სოფელიც არის ჩათრეული; რომ სოფელი, გაჭირვებაში ჩავარდნილი გლეხი და ქალაქის მუშა ხელი-ხელ ჩაკიდულნი იბრძვიან და თავიანთ სოლიდარულ მოქმედებით თითქოს პასუხს და ცხოვრების გაკვეთილს აძლევენ იმ დოქტრინერებს, რომელნიც დაჟინებით გაიძახიან: სოციალური რევოლუცია *მარტო* პროლეტარიატმა უნდა მოახდინოსო.

* * *

არიან ჩვენში ინტელიგენტები, რომელნიც ამბობენ: სოციალურ ხასიათის ამბოხებას დღეს ნუ მოვახდენთ, მემამულეებს და მექარხნეებს ძალით ნურაფერს წავართმევთ, ჯერ დავაარსოთ რუსეთში წარმომადგენლობითი მმართველობა. და სოციალურ ხასიათის ყველა კითხვებს პარლამენტი თავის წარმომადგენელთა საშუალებით ლეგალურად გადასწყვეტსო.

მაგრამ ამ მაცდურ სიტყვებს ხალხი არ აჰყვება. რასაც მოიპოვებს იგი რევოლუციონურის საშუალებით, მხოლოდ ის შერჩება მას. თვითმპყრობელობა ბურჟუაზულ-დემოკრატულ რეჟიმს დაუთმობს ადგილს. და ბურჟუაზული დემოკრატია მატერიალურ და კლასებრივ ინტერესების კითხვაში ძლიერ ხელმოჭერილია და უთმობს მხოლოდ იქ, საცა ძალას ხედავს. თუ ხალხში აგიტაცია, მოძრაობა არ არის, თუ ხალხი არ იბრძვის ამა თუ იმ საგნის მოპოვებისათვის, პარლამენტი, სადაც ბურჟუაზულ ნაწილს ექმნება დაჭერილი დიდი ადგილი, თავს არ გაიცხელებს იმის ხანხორციელებისათვის, რისთვისაც ხალხი თავს არ იდებს. ამიტომ პოლიტიკურ რეჟიმის გამოცვლას კი არ უნდა ელოდებოდეს მუშა ხალხი თავის ცხოვრების გამოკეთებისათვის, არამედ ხალხის შრომის პირობების გაუმჯობესება უნდა მიუძღოდეს და თანა სდევდეს მონარქიის დამხობის საქმეს.

გავიხსენოთ, რომ საფრანგეთის დიდ რევოლუციის დროს, სოფლის ხალხმა, გაიგო-რა ბასტილიის დამხობა, იმწამსვე ფეოდალების კოშკებს ეცა და იქ, იმ კოშკებში, არხივებში შენახული ბატონყმობის დოკუმენტები და ქაღალდები გაანადგურა. და ამრიგად, რევოლუციონურ ინიციატივის ძალით განთავისუფლა თავი ფეოდალების უღლიდამ. და როდესაც პარიზში დეპუტატები შეიყარნენ, ისინი *იძულებულნი* იყვნენ კანონიერი ხასიათი მიეცათ იმისათვის, რაიც გლეხებმა ძალით მოიპოვეს. კაცობრიობის ისტორია სავსეა ამგვარ ფაქტებით.

ყველა ამ მოსაზრებიდამ შემდეგი პრაქტიკული დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ. პროლეტარიატმა და გლეხობამ უნდა გაამტკიცონ თავიანთი სოლიდარობა. საჭიროა ამ ხასიათის მოძრაობის გადატანა საქართველოს და კავკასიის სხვა კუთხეებშიაც. საჭიროა რევოლუციას დეცენტრალიზური ხასიათი მიეცეს. საჭიროა, რომ მისმა ტალღამ შეანძრიოს ქართლ-კახეთის გადაკარგულ სოფლების ღარიბ-ღატაკნიც. როდესაც ეს მოხდება ჩვენში და სხვაგან, რევოლუცია მაშინ იქნება გამარჯვებული.

* * *

გარემოებაც გვიჩვენებს, რომ მშვიდობიან გაფიცვის მოხდენა დღევანდელ პირობებში სახიფათო საქმედ ხდება. გაფიცულთ უწყალოდ ხოცვენ. ამიტომ სოფელსა თუ ქალაქში გაფიცულნი უნდა შეიარაღდნენ, რათა ძალას ძალა დაუყენონ. დღეს ხალხის შეიარაღებას მარტო თავისდაცვის მნიშვნელობა აღარ უნდა ჰქონდეს. დღეს დადგა დრო მტერზე იერიშის მიტანისა; შეიარაღებულმა მუშებმა *ძალით* უნდა მოიპოვონ გაფიცვის, ადამიანის და კავშირების ხელუხლებლობის უფლება, ძალით უნდა დააწესონ 8 საათის სამუშაო დღე, ძალით დაისაკუთრონ მიწა, ტყე და საძოვარი, რომელიც ასე სჭირდებათ ჩვენებურ გამვალტყავებულ წვრილფეხა გლეხობას. ხოლო ყოველთვის. როდესაც მოხდება ამგვარი ექსპროპრიაცია, მას არასოდეს ინდივიდუალური, პირადი ხასიათი არ უნდა ჰქონდეს, არამედ საზოგადოებრივი. მიწა ყველასია, ამიტომ მთელმა საზოგადოებამ უნდა ისარგებლოს მით და არა მარტო კერძო პირმა.

* * *

რაიც შეეხება რევოლუციის პოლიტიკურ და ეროვნულ მხარეს, უნდა ვსთქვათ, რომ მისი ხასიათი და მიმართულება ვიწროდ არის დაკავშირებული რევოლუციის სოციალურ მხარესთან. როდესაც სოციალურ ხასიათის მოძრაობას დეცენტრალიზური ხასიათი ეძლევა, როდესაც ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთის იმპერიის კუთხეებში ხალხი იმიტომ კი არ ამოძრავდა, რომ ერთის რევოლუციონურის ცენტრიდამ ბრძანება მოუვიდა, რომ ყველგან, კავკასიასა, პოლონეთსა, ბალტიის პროვინციებსა და სხვაგან ადგილობრივმა პირობებმა და ძალებმა შეჰქმნეს მოძრაობა; როდესაც დააკვირდებით თუნდ გურიის გლეხობის მაგალითს, დარწმუნდებით, რომ ხალხს, რომელიც საკუთარის ინიციატივით ახალ სოციალურ პირობების დასამყრობად, *საკუთარის ძალითვე შეუძლია თავის თავის მოვლა და თავის საქმეების მოწყობა*. ამრიგად ეროვნულ კითხვის გადაწყვეტა აქ პირდაპირ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დამოუკიდებლად, გაბედულად და თავის საკუთარის პასუხისმგებლობის ქვეშ იბრძვის ხალხი თავის ეკონომიურ განთავისუფლებისათვის. ჩვენში დღეს ამ გზით მიდის რევოლუცია და ამ გზას

არ უნდა გადაუხვიოს. ჩვენ უარვყოფთ პოლიტიკურ და ეროვნულ ხასიათის რევოლუციას, თუ მას წ ი ნ არ უძღვება სოციალურ ხასიათის მოძრაობა. ხალხს არ ესაჭიროება პარლამენტი, თუ ძველებურად დამშეული და ეკონომიურად დამონებული დარჩება. მაშ პირველი ჩვენი ზრუნვა ეკონომიურ უღლის გადაგდება უნდა იყოს. მხოლოდ აქედამ წარმოსდგება ჩვენის ხალხის სრული განთავისუფლება.

## მღვდელ გაპონის წერილები

წერილი ხელმწიფისადმი :

ნიკოლოზ რომანოვს, ნახელმწიფარს და აწ რუსეთის იმპერიის მცხოვრებთა გამწყვეტს.

გულუბრყვილოდ მეგონა, რომ შენ მამა იყავ შენის ხალხისა. მეც გავბრიყვდი, წამოვასხი შენის ხალხის შვილები და მშვიდობიანის განზრახვით შენსკენ წამოვედი. შენ უნდა გცოდნოდა, რომ შენს სანახავად მოვდიოდით, შენ ყოველივე იცოდი. მუშათა, მათის ცოლების და ყრმათა დანთხეული უმანკო სისხლი ამიერიდან ერთმანერთს გაშორებსთ შენ, მას მკვლელს, და რუსეთის ხალხს. სამუდამოდ გაწყდა თქვენს შორის სულიერი კავშირი. შენ არ შეგიძლია შეიმაგრო, დაამშვიდო აზვირთებული ხალხი რაღაც ნახევარ ზომებით, თუნდ „საერო კრებაც" რომ აღუთქვა. ყუმბარები და დინამიტები, პირადი თუ საერთო ტერორი, ხალხის აჯანყება მოელის შენს სახლობას და ყველა მტერს და მძარცველს ხალხისას, რომელსაც ახდილი აქვს ყოველი უფლება. რასაც გეუბნები, ყოველივე ახდება. შეიძლება, სისხლი მდინარის მსგავსად დაინთხეს. შენის წყალობით, შეიძლება თვით რუსეთიც დაემხოს ეცადე, ყოველივე ეს შეიგნო, — გაითვალისწინო და გაფრთხილდე.

რაც შეიძლება ჩქარა უნდა აიღო ხელი მთელის შენის სახლობით რუსეთის ტახტზე და წარსდგე რუსეთის ხალხის სამსჯავროს წინაშე. შეიბრალე შენი შვილები, შეიბრალე შენი ქვეყანა, შენ, რომელიც სხვას ურჩევდი მშვიდობას და შინ კი შენიანებსავე სწყვეტავ.

გიორგი გაპონი.

20 (7) თებერვალი 1905.

—

P. S. იცოდე, რომ ეს წერილი საბუთი იქნება იმ სარევოლუციო და ტერორისტულ ამბებისა, რუსეთში სულ მალე რომ უნდა მოხდეს.

წერილი პეტერბურგის მუშათა და მთელის რუსეთის პროლეტარიატის მიმართ :

ძვირფასნო და დაუვიწყარნო ძმანო, პუტილოვის ქარხანაში მომუშავენო და ყველა თქვენ, ქ. პეტერბურგის მუშანო და ამხანაგნო! მრისხანე და აბუბაქრებულ ზღვასავით აზვირთდით და იშვიათის ერთსულობით აღსდექით თქვენის უფლებისა, ხალხის თავისუფლებისათვის. დაიღვარა სისხლი და ამ სისხლისღვრის დროს თქვენ მოიხვეჭეთ სახელი გმირთა. უფლებაახდილს, საცოდავს რუსეთს თქვენ იყავით რომ შესძახეთ: უკუაგდე ძველი ცხოვრება, ახლა სხვანაირად, თავისუფლად უნდა იცხოვრო! თქვენის სისხლის წინწკლები და ნაკადულები რევოლუციის ძალუმ ტალღებად იქცა. თქვენ ჩაუყარეთ საძირკველი რუსეთში დიად, ნამდვილ რევოლუციას. გმირნო, შეიარაღებულ ხალხის მრისხანე აჯანყების წინამორბედნო! მთელმა რუსეთმა, მთელმა ქვეყნიერობამ თქვენ მოგაპყრათ თვალები. გაფიცებთ თავისუფლებას, გაფიცებთ სამშობლოის კეთილდღეობას და თქვენს ძმებსა და წვრილ ცოლშვილს — გული არ გაიტეხოთ! გამხნევდით, გალომგულდით! არ მოგატყუონ კაცი-კალია ხელმწიფემ და მისმა მელაძუა მინისტრებმა, თვალები არ აგიხვიონ გაიძვერულ დაპირებებით მყეფართა ხროვამ მოხელეებისა და კაპიტალისტებისამ, გაფრთხილდით! თქვენის სამშობლოის სიცოცხლესა და ბედ-იღბალს ოსპის შეჭამანდზე, სისხლის მწოველ ხელმწიფის ფარისევლურ დაპირებაზე ნუ გასცვლით! ძმის სისხლს იუდასავით ოცდაათ ვერცხლად ნუ გაჰყიდით. გაუძეხით სახელოვანად რუსეთის პროლეტარიატს, იბრძოლეთ ბოლომდე უბედურ ხალხის საკეთილდღეოდ. არ გასტეხოთ ფიცი, მე რომ მომეცით, ხალხის მტერს სამაგიეროს გადავუხდით და თავისუფლებისათვის ვიბრძოლებთო. არ მოისვენოთ, სანამ არ დაგაკმაყოფილებენ სრულიად, სანამ არ აგისრულებენ ყოველსავე, რასაც სისხლის მსმელ ხელმწიფეს სთხოვდით და თქვენის ასეთის ღვაწლით საუკუნო და ხელთუქმნელი ძეგლი აღუმართეთ თქვენს ძმებს-გმირებს, თქვენთვის რომ სისხლი დაღვარეს და თავი დასდვეს.

პეტერბურგის მუშებო და მთელის რუსეთის პროლეტარიატო! ხომ გინდათ, რომ მალე, სულ მალე გაიმარჯვოთ? მაშ შეერთდით ყველანი, პარტიისა, სარწმუნოებისა და ეროვნების განურჩევლად. მხარში ამოუდექით კეთილშობილს და თქვენს კეთილისმდომ მოსწავლე ახალგაზდობას, სტუდენტებს და ყველა ნასწავლებს. მოიმხრეთ ხალხის საკეთილდღეოდ ყველანი, ვისაც რისამე გაკეთება შეუძლია. მოლაყბე და ლაქლაქა ადამიანებს ერიდეთ, თავი მორს დაიჭირეთ მათზე. ახლავე შეუდექით საქმეს: იშოვეთ იარაღი ასაჯანყებლად, გაავრცელეთ ეს აზრი ყველგან, ნურავის უცდით, თქვენ იმეცადინეთ. მრისხანე ზღვის ტალღების ღრიალსავით უნდა მოედოს თქვენი ხმა კიდით-კიდე, ყველას უნდა უთხრათ — აჯანყდითო! ყველა გააღვიძეთ, რომ აღსდგნენ და მტერს მაგიერი გადაუხადონ, ყველა მშრომელს, დაჩაგრულს გამოექომაგნენ, მის თავისუფლებისათვის იბრძოლონ. რაც შეგიძლიათ, ეცადეთ, დაუახლოვდეთ სალდათებს, ყაზახრუსებს, თქვენს მხარეზე გადმოიბირეთ და უთხარით — თქვენთან ერთად იბრძოლონ. სდევნეთ ჯაშუშები, თქვენი მომტყუებელნი, რომლებიც გირჩევენ — დამშვიდდით და ცოტას რასმე დასჯერდითო; თუ გაგცეს — მოჰკალით. შეიძულეთ და ზიზღი გამოუცხადეთ უწმიდესს სინოდს, მიტროპოლიტებს, ეპისკოპოსებს, ღვთის სახელით კაცი-კალიებს, ხაზინის მძარცველებს და რუსის ხალხის მყვლეფავთ რომ ემსახურებიან და თან ათასგვარ ცილსა გვწამებენ მე, თქვენს ძმებს, ყველას, ვინც ხალხის გასანთავისუფლებლად სისხლსა ვღვრით. მღვდლებს, რომელნიც მხოლოდ ხალხსა ყვლეფავენ და სააქაო ჭრილობებს ზეციურ ობობას ქსელით გიკურნავენ — ყურს ნუ უგდებთ.

თქვენ თვითონ შეადგინეთ მუშათა მებრძოლი რაზმები. გაბედული და ვაჟკაცი ვინც იქნება, ის გაუძღვეს ამ რაზმებს. იარაღის შესაძენად ქალაქებსა და დაბებში შურის საძიებელი და თავისუფლების თანხები დაარსეთ. სადაც ცხოვრობთ, იმ ადგილების მდებარეობა შეისწავლეთ. საზიზღარი თქვენის ძმების სისხლის ღვრის მიზეზი ვინც იქნება, სადაც მოასწროთ, ნუ დაინდობთ, ისე მოჰკალით. თავი და თავი, არ დაგავიწყდესთ: დაწყევლილ მთავრობას, ამ ყაჩაღების და ხალხის მყვლეფელთა ბრბოს, არ დააცალოთ, რომ გონს მოვიდეს. ამიტომ, მინისტრები, გუბერნატორები, ბოქაულები, პოლიციელები, საერობო დარაჯები, ჟანდარმები და ჯაშუშები, გენერლები და აფიცრები, სალდათებს რომ ბრძანებას აძლევენ — თოფები გესროლონ, დახოცეთ, სადაც მოასწროთ. იცოდეთ, რომ უკვე ცდილობენ თქვენნი მოკეთენი, რომ დროზე მოგაწოდონ საჭირო იარაღი და დინამიტი. სათადარიგო და ნამდვილი სალდათები ვინცა ხართ, მანჯურიაში საომრად წასვლაზე უარი განაცხადეთ; ცხრა-მთას იქით მანჯურიაში კაცი-კალია ხელმწიფისათვის რომ მოკვდეთ, იმას სჯობია აქ, რუსეთის ქალაქების და სოფლების ქუჩებზე სისხლი დაღვაროთ თქვენის თავისუფლებისათვისა და კეთილდღეობისათვის. როცა მებრძოლი კომიტეტი შურისძიებისა, ხალხის ქომაგობისა და თავისუფლებისა გეტყვისთ, მთელს რუსეთში ერთს კაცსავით აღსდექით! ქალაქებში სიცოცხლე წამსვე შესწყვიტეთ. ამისათვის საჭიროა გააფუჭოთ წყლისაყვანები, გაზსაყვანები, ტელეფონები, ტელეგრაფები, განათება, ტრამვაები, რკინის გზები. დაანგრიეთ და დასწვით საპოლიციო ნაწილები, სასახლეები, მთავრობის დაწესებულებანი. ტყვენი განთავისუფლეთ, სახელმწიფო სატუსაღონი დაანგრიეთ. მხოლოდ კერძო სახლებს და კერძო ადამიანთ ხელს ნუ ახლებთ...

თქვენი კომიტეტი, ხალხის შურისმაძიებელი და ქომაგი, რაც შეიძლება, მალე შეიმუშავებს საზოგადო საბრძოლველ გეგმას აჯანყებისას. შეიარაღებულ აჯანყების მახლობელი მიზანი იქნება გადაყენება თვითმმართველობისა, დროებით სარევოლუციო მთავრობის არჩევა; დაუყონებლივი განთავისუფლება ყველა პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ აზრებისათვის მებრძოლთა, დაუყოვნებლივ შეიარაღება მთელის ხალხისა და დაუყონებლივი მოწოდება საერო კრებისა (ამ კრებაში მონაწილეობა უეჭველად უნდა მიიღონ მუშათა წარმომადგენელთაც) საერთო, თანასწორ, იდუმალ და პირდაპირ კენჭისყრით.

მთელის რუსეთის ამხანაგებო-მუშებო! ბედმა გულით, სულით და სისხლით თქვენთან შემაერთა. ამავე ბედმა ჩემდა უნებურად მომაშორა იმ ადგილს, სადაც იმდენი მკვდარი ეყარა, იმდენი სისხლი დაიღვარა. სიცოცხლე შემრჩა, და შემრჩა იმიტომ, რომ თქვენი შური ვიძიო, თქვენთვის გულმხურვალედ ვიმუშავო. სულით — და როცა დრო დადგება, ხორცითაც — მუდამ თქვენთან ვარ. თქვენი ჭირი — ჩემი ჭირია. თქვენი ლხინი — ჩემი ლხინია. მერწმუნეთ — მ ო ა ხ ლ ო ვ დ ა  ჟ ა მ ი  გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ი ს ა! ახლოვდება ჟამი, როცა უკლებლივ უნდა ვიძიოთ შური მთელის ჩვენის დამცირებისა და ტანჯვისათვის. მეტსაც გეტყვით — უკვე დადგა ეს ჟამი! გმირმა სოციალისტ-რევოლუციონერებმა უკვე იყარეს ჯავრი ხელმწიფის ოჯახის გველის წიწილებზე (სიკვდილი დიდის მთავრის სერგეისა). და კვლავაც შეუჩერებლივ, უფრო მეტის ძლიერებით იყრიან ამ ჯავრს სხვებზედაც.

მაშ არ შერცხვე რუსეთის მშრომელო ხალხო! შეუდექი საქმეს, რუსეთის დაწიოკებულო, მშრომელო, უბედურო ხალხო — მუშებო, გლეხებო, მოქალაქენო — ყველა! დაკარგვით რაღა უნდა დაჰკარგო, რაც გადგათ, იმაზე უარესი დღე არ დაგადგება, ხოლო მოგებით კი შეგიძლია ყველაფერი მოიგო! უკან დახევა არ შეიძლება. რადაც უნდა დაგიჯდეს, თავისუფლება მაინც უნდა მოიპოვო!

მაშ წინ, ვიბრძოლოთ, გმირნო-ამხანაგნო! დავამსხვრიოთ მონობის ბორკილები! დავგლიჯოთ ის ობობას ქსელი, რომელშიაც გახვეულა უფლებაახდილი რუსის ხალხი და თავს არა ზოგავს, რომ როგორმე თავი გაინთავისუფლოს. მაშ გავსრისოთ, ბოლო მოვუღოთ ჩვენის მვირფასის სამშობლოს სისხლისმწოველ შინაურ ობობებს. ძირს დავამხოთ მთავრობა, რომელიც ჩვენის სისხლით აქამდე ვერ გამძღარა. დავუბრუნოთ დედა-მიწა გაღატაკებულ ხალხს.

გასწით, გასწით, გმირო მეგობრებო! მოგელისთ დიდება, დაფნის გვირგვინით ამკობენ თქვენს თავს მთელი რუსეთი, მთელი ქვეყნიერობა.

გიორგი გაპონი.

—

P. S. — გადასწერეთ, გადაბეჭდეთ, გაავრცელეთ თქვენს შორის და მთელს რუსეთში.

---

## სარევოლუციო მოძრაობა საქართველოში

(კორესპონდენციები და ამბები)

### ტ ფ ი ლ ი ს ი დ ა ნ.

ჩვენის ქვეყნის ყოველ კუთხიდან მოგვდის ამბები ხალხის დრტვინვისა და მღელვარებისა. უკმაყოფილებას აცხადებენ რუსეთის თვითმპყრობელობის წინაალმდეგ, ჰგმობენ თანამედროვე ეკონომიურ რეჟიმს და ამა თუ იმ სახით სცდილობენ თავიანთი პროტესტი გამოაცხადონ, თანამედროვე წესწყობილებას აღარ ემორჩილონ. ამ საერთო ფერხულში ქალაქებს გარდა ებმის პროვინციაც, განსაკუთრებით დასავლეთი საქართველო.

ადმინისტრაციას საქმე მით უფრო გაუჭირდა, რომ უმეტესობა ჯარისა მანჯურიაშია გაგზავნილი და თვით ჩვენი მხარე სულ მცირედ ჯარის ამარა არის დატოვებული. ტფილისში საქმე ისე გაუჭირდა, რომ პეტერბურგში მთავრობას შეატყობინეს, — ჯარები უნდა მოაშველოთ ტფილისს, ქუთაისს და ბათომსაო. პასუხად კი შემოსთვალეს: ტფილისისათვის ცოტას მოგაშველებთ, ხოლო ქუთაისმა და ბათომმა როგორც უნდათ, ისე უშველონ თავიანთ თავსაო.

განსაკუთრებით ბათომში გამოაჩნდა სისუსტე ადმინისტრაციას. აჯანყებულნი ნამდვილი ბატონები გახდნენ ქალაქის ცხოვრებისა. თავტანდაკარგულმა გუბერნატორმა ორ სამხედრო გემის გამოგზავნაც კი მოითხოვა სებასტოპოლიდან „ბათომის ასაღებად". მაგრამ, როგორც მოსალოდნელიც იყო, უარი შემოუთვალეს. ბათომის მდგომარეობას უფრო ის ამწვავებს, რომ აჯანყების ჰაერი აჭარასაც მოედო. აჭარელებმა, თავიანთს მიუვალ მთებში გამაგრებულებმა, პირდაპირ გამოუცხადეს უარი რუსის ადმინისტრაციას — მეტად ველარ გემონებითო!..

ამავე დროს ჩვენში არსდება ქართველ ტერორისტთა დასები, რომელნიც თავისებურ საშუალებას ხმარობენ ადმინისტრაციის დასაშინებლად. ნიშანში ამოღებულ მსხვერპლს უგზავნიან კუბოს: აი, შენი დღენი დათვლილია, თუ ესა და ეს არ აგისრულებია, საიქიოს უნდა წახვიდეო. ამნაირი კუბო გაუგზავნიათ ეპისკოპოს დიმიტრისათვის. იმასაც სამწყსოსთვის თავი დაუნებებია და რუსეთში მიდის. ამნაირივე კუბო გაუგზავნეს „შავის ზღვის უწყების" რედაქტორს პალმს და თანაც შეუთვალეს: შესწყვიტე შენის საზიზღარ გაზეთის ბეჭდვა და შენც აიბარგე ჩვენის ქვეყნიდანო. ისიც ეპ. დიმიტრის გზას გასდგომია. კუბოვე გაუგზავნეს ჩვენის მოზარდ თაობის ჯალათს ვოსტორგოვს და ხუთი დღის ვადა მისცეს რუსეთში წასასვლელად. ამბობენ, აქაც გასჭრა კუბომაო...

—

მუშათა მანიფესტაციებს და საერთო უკმაყოფილების გამოცხადებას საქართველოს დედა-ქალაქის მოსწავლეებმაც შეუერთეს თავიანთი ხმა პროტესტისა. აჯანყების პირდაპირ მიზეზად გახდა მუშათა მანიფესტაცია 23 იანვრისა. მანიფესტაციის დროს პირველ (სავაჟო) გიმნაზიის მოწაფეთა ერთი ნაწილი გიმნაზიის მახლობლად გოლოვინის პროსპექტზე მდგარა. როცა ყაზახრუსები მანიფესტანტებს დარევიან, გიმნაზიელები გიმნაზიის ალაყაფის კარებისაკენ გამოქცეულან თავის შესაფარებლად. მაგრამ გიმნაზიის დირექტორს ნიუბლენგს, რომელიც ყოველსავე ამას ხედავდა, იმის მაგივრად, რომ ეშველნა, უბრძანებია კარები მიეხურათ და გიმნაზიელები ეზოში აღარ შემოეშვათ. ასე რომ ორი იმათგანი ხალხში მოჰყოლია და ყაზახრუსებს უწყალოდ უცემიათ,

მეორე დღეს სწავლის დაწყებისათანავე აჯანყებულა მთელი გიმნაზია: ჩაულეწიათ ფანჯრები, ნაფოტებად უქცევიათ საკლასო ავეჯი, აუტეხიათ ყვირილი. ამის შემდეგ ჩაუგდიათ ხელში მასწავლებელი ეგოროვი და უწყალოდ უცემიათ, თავზე ლაყე კვერცხები დაეხალათ. სდომებიათ ინსპეტორი კარპინსკიც გაელახნათ, მაგრამ თავისთვის უშველნია. გამოსულა დირექტორი დასამშვიდებლად. მაგრამ პატარა „ბომბები" (ლაყე კვერცხები) უსროლიათ. ქმარის საშველად ცოლი გამოსულა და ხმამაღლა დაუყვირნია: მეც შენთან უნდა მოვკვდეო!.. მოკვლით არ მოუკლავსთ, მაგრამ ორივე ცოლ-ქმარი კვერცხებში ამოგანგლულან და ამასობაში დამალულან კიდეცა. მოსულა ლოპატინსკი (კავკასიის სამოსწ. ოლქის მზრუნველის თანაშემწე) გიმნაზიელების დასამშვიდებლად და უთქვამს, მითხარით, რას ითხოვთ, რა აგისრულოთო? მოსწავლეთ უპასუხნიათ: აქ არაფერს გეტყვით, გამართეთ მასწავლებელთა ბჭობა, ჩვენც მოგვიწვიეთ და მაშინ ყველაფერს გეტყვითო. ლოპატინსკის სხვა გზა არა ჰქონია, რომ არ დათანხმებულიყო. გამართულა ბჭობა მასწავლებელთა. მოუწვევიათ უფროს კლასების მოწაფეთაგან ოცდა-ათი კაცი და იმათაც წარუდგენიათ თავიანთი მოთხოვნილებანი: დათხოვნილ იქმნენ დაუყოვნებლივ დირექტორი თავის მხეცურ საქციელისათვის, ინსპექტორი კარპინსკი და მასწავლებელი ეგოროვი ჯაშუშობისა და ბეზღობისათვის.

ამ ბჭობას ის მოჰყვა შედეგად, რომ დირექტორმა სამსახურს თავი დაანება; ამბობენ, ნაცემი ეგოროვიც მიდისო, და თუ კარპინსკი არ დაითხოვეს, მოწაფენი სწავლაზე ხელის აღებას აპირებენო.

აჯანყება მოხდა აგრეთვე ვაჟთა მეორესა და მესამე გიმ-

ნაზიებშიაც, ქალთა საეპარქიო სასწავლებელში, სასულიერო სემინარიაში, საოსტატო ინსტიტუტში. აჯანყებულნი თხოულობენ: მოსპონ საღმრთო სჯულის სწავლება სასწავლებლებში, მოსწავლეებს მიეცესთ უფლება დამნაშავე მასწავლებლის დასთხოვნისა, ნება მიეცესთ კერძო ბინებში იცხოვრონ, ნებადაურთველად თეატრებში იარონ. მეორე გიმნაზიაში სწავლა შეჩერებულია.

ქალების გიმნაზიებშიაც აჯანყდნენ მოსწავლენი და მთავრობას თავიანთი მოთხოვნანი წარუდგინეს: 1) მოწაფე-ქალებს უფლება ჰქონდესთ პედაგოგიურ საბჭოში მონაწილეობის მიღებისა; 2) ეროვნობის განურჩევლად მიღება მოწაფეთა გიმნაზიაში; 3) სამშობლო ენის სწავლების საქმის ჯეროვანად დაყენება; 4) გაუქმება მეცხრე კლასისა; 5) საღმრთო სჯულის სწავლა მოწაფეთა სურვილზე იყოს დამოკიდებული და 6) სასწავლებლებში თავისუფლად გამართონ ყრილობანი.

—(()—

სიღნაღიდან.

ამაზე წინად აქ თავი მოიკლა თ.-აზნაურთა სამაზრო წინამძღოლმა თავადმა ანდრონიკაშვილმა. ამ უკანასკნელ დროს მის სახლში თურმე ხშირად იკრიბებოდნენ მისნი ნაცნობნი და ბჭობა ჰქონდათ თვითმპყრობელობის უვარგისობის და მის მაგიერ მართვა-გამგეობის ახალის ფორმის შემოღების შესახებ. ყოველივე ეს გაეგო მაზრის უფროსს და მთავრობისათვის მოუხსენებია. ტფილისიდან ჟანდარმის აფიცერიც გაუგზავნიათ დამნაშავე წინამძღოლის სახლის გასაჩხრეკად. თავ. ანდრონიკაშვილს ეს შეეტყო და გადაუწყვეტია თავის მოკვლა. ერთ დატოვებულ წერილთაგანში განსვენებული ამბობს: რუსის მთავრობის ყმების ხელში ტანჯვას მირჩევნია ჩემის ხელით მოვუღო ბოლო ჩემს სიცოცხლესაო.

—(()—

სოხუმიდან.

„გაზაფხულის" და გამოფხიზლების სიომ დაჰბერა ჩვენს მივარდნილ და ბიუროკრატიის მიერ დამუნჯებულ სოხუმსაც. სარევოლუციო ტალღა აქაურობასაც მოხვდა. ახალი მიმართულება დაიწყო იმითი, რომ 16 იანვარს ნოქრებმა და მუშებმა მოედანზე მანიფესტაცია გამართეს. შეიკრიბნენ, ილაპარაკეს საჯაროდ, უშიშრად, დაჰგმეს თვითმპყრობელობა; სურვილი გამოაცხადეს მხარი დეუჭირონ რუსეთში დაწყებულ განმათავისუფლებელ მოძრაობას, იბრძოლონ, სისხლი დაღვარონ თავისუფლების მოსაპოვებლად, თვითმპყრობელობის დასამხობად.

ნოქრების მიერ გამართულმა მანიფესტაციამ თვალები გამოაფშვნეტინა როგორც თვით სოხუმს, ისე გარშემო სოფლებსაც. იმას-ღა გაიძახიან: ე რას მოვესწარით, თქვენი ჭირიმეთო!

სხვა ქალაქების მსგავსად სოხუმშიაც (კლუბის დარბაზში) გაიმართა ბანკეტი. 120-ზე მეტი ქალი და კაცი დაესწრო წოდებისა, ასაკისა და ეროვნების განურჩევლად. გაიმართა ცხარე ლაპარაკი თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. ორატორები ერთმანერთს ეცილებოდნენ სიტყვების წარმოთქმაში და აწინდელ წესწყობილების გმობა-გაკიცხვაში. საზოგადოდ ყველამ ის აზრი გაატარა, რომ უნდა მოისპოს ახლანდელი მთავრობა, ეს მთავრობაა, რომ ყველას სჩაგრავს, სულს უხუთავს, ადამიანს ყოველს უფლებასა ხდის და პირუტყვს ადარებსო; ესევე მთავრობაა, რომ რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ეროვნებათა შორის სიძულვილსა და კაცი-ჭამიობის აზრებს რომ სთესავსო, და სხ. და სხ. ამოდენა ხალხში ერთი პროტესტის ხმა არ წამოსცდენია ვისმე. გუშინდელი მომხრე მთავრობისა დღეს, თითქო ვინმე შეულოცაო, ერთბაშად მისი მტერი გახდა. მოწონების ნიშნად ორატორებს განუწყვეტელის ტაშის კვრით აჯილდოვებდა დამსწრე საზოგადოება.

ხელმწიფის მსახურნი სდუმდნენ, არ იცოდენ, რა ექნათ, რა გზას დასდგომოდნენ. პოლიციას მხოლოდ მეორე დღეს მოუვიდა ბრძანება: ბანკეტის გამართვის ნება არ მისცეთო. გვიან იყო. პოლიციამ, სხვა რომ ვერა მოახერხა-რა, გადასწყვიტა: მობანკეტეთ თვალყურს ვადევნებ მაინცაო. და ადევნებს თვალყურს და მერე იცით, ვის? „აქაურ კეთილსაიმედოდ" ცნობილ ჩორბაჯებს (ვაჭრებს), მოხუცებულ თავადებს, კნეინებს, 15—16 წლის ქალიშვილებს, მთავრობისავე მოხელეებს, და სხ. და სხ. სმა-ჭამის და დროსგატარების გამომსახველი სიტყვა ბანკეტი, ანუ, როგორც სოხუმელებმა მონათლეს, „ბიკენტი", სარევოლუციო და მთავრობის საწინააღმდეგო ხასიათის სიტყვად გადაიქცა. ყველანი ჰკვირვობენ, ასე უცბად საიდან და როგორ გამოიცვალა საზოგადოების აზრიო?!

მანიფესტაციებს გარდა აქაურმა ნოქრებმა გაფიცვაც მოახდინეს. თხოულობდნენ: დუქნები დილის 8 საათზე გაეღოთ ვაჭრებს და საღამოს 7 საათზე დაეკეტნათ. ხოლო კვირაობით მთელის დღით იყოს დაკეტილიო. მოთხოვნა უკლებლივ აღუსრულეს.

იმავე ნოქრებს მუშებიც მიემხრნენ და ექვს თებერვალს ექვსასზე მეტმა კაცმა ქვები დაუშინა ერთის აქაურ მცხოვრების სახლს. სახლისპატრონს ჯაშუშობასა და გამცემლობას აბრალებდნენ. საქმეში პოლიცია ჩაერია. მანიფესტანტები გაუძალიანდნენ და რევოლვრების სროლა გაიმართა. ერთი პოლიციელი მოჰკლეს და ორიც მძიმედ დასჭრეს. მუშების მხრივ ერთი მოკვდა და ორიც დაიჭრა.

საჩ.

## მანიფესტი
## საფრანგეთის მუშათა სინდიკატების კავშირისა

სენის დეპარტამენტის მუშათა სინდიკატების კავშირმა კრებაზე დაადგინა თავისი თანაგრძნობა რუსეთის მუშათათვის ამ სიტყვებით გამოეცხადებინა:

„სენის სინდიკატთა კავშირს საშინლად დაწყვიტა გული პეტერბურგში მომხდარმა ხოცვა-ჟლეტამ. გინატრით გამარჯვებას, გინატრით დაწყებული რევოლუცია სასურველად დააგვირგვინოთ. არავითარ ყუმბარებს ამ რევოლუციის შეჩერება არ შეუძლიათ.

ძმებო! მართალია, ჩვენსა და თქვენს შორის დესპოტებმა საზღვარი და დაბრკოლება აღმართეს, მაგრამ როგორც ჩვენ, ისე თქვენ ერთი განთავისუფლების აზრი გვასულდგმულებს, ორნივე საერთო ტანჯვით ვიტანჯვით.

ბარბაროს თვითმპყრობელ მთავრობის უღლის ქვეშ სული გხდებათ, მონანი ხართ ხელმწიფისა, რომელსაც საფრანგეთის ბურჟუაზია დაუკავშირდა, მოგბეზრდათ ამდენი თხოვნა სამართლიანობისა, და აჰა მიმართეთ ყველა დაჩაგრულთა მხსნელს, მიმართეთ რევოლუციას, რომელიც არ შეიბრალებს არც დიდებულთა, არც ფულის პატრონთა, არც მტარვალთა.

მთელის ქვეყნის მშრომელს ხალხს გულმა ტოკვა დაუწყო სიხარულით, როცა გაიგო თქვენი გმირული ცდა.

ხელმწიფემ, გააგის კონგრესის თვალთმაქცმა კაცთმოყვარემ, ნიღაბი მოიხადა.

რაც მანჯურიაში ხალხი გასწყვიტეს, მშვიდობის მოყვარე დესპოტს არა ჰყოფნის; იმედი აქვს მშრომელ ხალხის გვამებზე განამტკიცოს თავისი შერყეული ტახტი.

მაგრამ ამაოდ სცდილობს. თავისუფლების საათმა დაჰკრა რუსეთის ხალხისათვის.

გული გაიმაგრეთ. ამხანაგებო! გინატრით თქვენს ამდენის ხნის ტანჯვას, მწუხარებას, ჩაგვრას ბოლო მოეღოს და გულში დაგუბებული ჯავრი მტარვალებზე ამოგეყაროსთ!

ვინატრით, რომ მოვესწრათ იმ დღეს, როცა ცარიზმი დანთხეულ სისხლში ჩაიხრჩობა და მისი ხსენება საუკუნოდ განქრება.

პარიზის, ამ სარევოლუციო ქალაქის, მშრომელი ხალხი სულით და გულით თქვენთან არის და გეუბნებათ:

„ჩვენი იმედი გქონდესთ, საცა თქვენ იქნებით, ჩვენც იქ ამოგიდგებით მხარში".

მირს ხელმწიფე! მირს ხალხის მყვლეფავი! გაუმარჯოს სოციალურ რევოლუციას"!

## კიდევ ერთი სიკვდილით დასჯა!

მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო. დიდი მთავარი სერგეი ხალხის სახელით გასამართლებულ იქმნა

სოციალისტ-რევოლუციონერთა « მებრძოლ რაზმის » ერთის წევრის მიერ. ობოლენსკის, სიპიაგინის და პლევეს მსგავსად იგი სიკვდილით დაისაჯა სასტიკ, მხეცურ და თავხედ სახელმწიფო მოღვაწეობისათვის — იმ მოღვაწეობისათვის, სადაც შორსმხედველობას, ადამიანობას, შებრალებას და სამართლიანობას არავითარი ადგილი ჰქონდა.

უხასიათო და უნიჭო მეფეზედ დიდ მთავარ სერგეის დიდი გავლენა ჰქონდა. ყოველთვის, როდესაც კი მეფის სასახლესა, მინისტრთა კომიტეტსა და სახელმწიფო საბჭოში აღიძრებოდა ხოლმე ლაპარაკი რუსეთის პოლიტიკურ რეჟიმის შეცვლის საჭიროების შესახებ, დიდი მთავარი ბოროტ სულსავით იქ გაჩნდებოდა ხოლმე და თავის ძმის ვლადიმირის და სინოდის პროკურორ პობედონოსცევის დახმარებით გადააფიქრებინებდა მეფეს, მამაპაპისაგან ნაანდერძევ მონარქიას ნუ შესცვლიო.

რუსეთის დიდი მთავრები თავს იწონებენ იმითი, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუცია ზედმიწევნით გვაქვს შესწავლილიო. ნიკოლოზ მე-II ლიუდოვიკ მე-XVI პოლიტიკურ შეცდომას არ გავამეორებინებთო. საფრანგეთში რესპუბლიკა ვერ დაარსდებოდა და რევოლუცია დასაწყისშივე აილაგმებოდა მკაცრი სიმტკიცე რომ გამოეჩინა ლიუდოვიკ მე-XVI'სო.

მართალია, დღეს რუსეთში ხალხი მღელვარებს და შფოთავს; ხოლო ამის წინააღმდეგ წამალი ერთად-ერთია — ყველგან მეამბოხეთა წრეებიდამ 500 კაცი უნდა ამოირჩიოს და ქუჩა-მოედნებზე ხალხის თვალწინ იქმნას ჩამოხრჩობილიო.

ასე სჯიან რუსეთის დიდი მთავრები. — მოკლულია სერგეი, ჯერ კიდევ ცოცხალია ვლადიმირი.

აქ, პარიზში, ცნობილმა მწერალმა ოქტავ მირბომ ამას წინად იწინასწარმეტყველა: სახრჩობელა შეიძლება აღიმართოს რუსეთში, ხოლო ხალხი დასასჯელთა ფარაჯებს დიდ მთავრებს ჩააცმევს და როლები შეიცვლებაო.

ამ წინასწარმეტყველობის შემდეგ ტელეგრაფმა მოგვიტანა ამბავი ყუმბარით დიდ მთავ. სერგეის სიკვდილით დასჯის შესახებ. აუცილებელს ვერავინ ასცდება!..

## მანიფესტი და რესკრიპტი

18 თებერვალს გულუბრყვილო ლიბერალები კონსტიტუციის გამოქვეყნებას მოელოდნენ. ხოლო ნიკოლოზ მეორემ კონსტიტუციის-მაგიერ მანიფესტი გამოაცხადა, რომელშიაც უფლება მოსილ მოხელეებს და ადმინისტრატორებს აგონებს, „ერთგულობის ფიცი არ დაივიწყოთ და გაათკეცეთ მხნეობა კანონის და წესრიგის დასაცავად"-ო. და ამასთან ერთგულ ყველა კლასების „კეთილმოაზრე ქვეშევრდომთაც სთხოვს, სამეფო ტახტის ირგვლივ შეგროვდით და დამეხმარეთ შინაურ არეულობას ბოლო მოვუღოვო". მანიფესტი ამ სიტყვებით თავდება: „ღმერთო, სამღვდელოებას სიწმიდე მიანიჭე, მთავრობას ჭეშმარიტება, ხალხს მშვიდობიანობა, კანონს ძალა, რათა ხალხის საკეთილდღეოდ თვითმპყრობელობის უფლება მეტად გავაძლიეროთ". მკაფიო და მარტივია ყოველივე ეს!

მაგრამ... ნიკოლოზ მე-II ამ მანიფესტს არ დასჯერდა. იმავე დღეს გამოქვეყნდა რესკრიპტი შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე. რესკრიპტში, სხვათა შორის, სწერია: „დღეის იქით, ღვთის შეწევნით, გადავწყვიტე მოვიხმო ღირსეულნი პირნი, ხალხის მიერ ამორჩეულნი, რათა ამათ მონაწილეობა მიიღონ კანონმდებლობის მომზადება-შექმნაშიო... მაგრამ, — განაგრძობს ნიკოლოზ II, — წინადვე ვგრძნობ, რომ ამ რეფორმის განხორციელებას ბევრი დაბრკოლება გადაეღობება, რადგან იგი უნდა იყოს განხორციელებული იმ პირობით, რომ აწინდელი არსებითი კანონები იმპერიისა ხელუხლებელნი დარჩნენო".

მაშ რა განსხვავებაა პირველ და მეორე დოკუმენტს შორის? რომ დააკვირდეთ, დარწმუნდებით, რომ მათ შორის არავითარი არსებითი განსხვავება არ არის. პირველშიაც და მეორეშიც თვითმპყრობელობის ხელუხლებლობა არის აღიარებული. მართალია, რესკრიპტში ხალხის მიერ ამორჩეულ პირებზეა ლაპარაკი; ხოლო რა უფლებით იქნებიან აღჭურვილნი ხალხის წარმომადგენელნი? თავისუფლება მათ არ ეძლევათ, მარტო მოვალეობა და შრომა. კანონების შემუშავების დროს მათ რჩევას ჰკითხავენ. ხოლო „არჩეულთა" გადაწყვეტილებას არავითარი ძალა და სავალდებულო ხასიათი არ ექმნება მთავრობისათვის. და ამასთან ისინი არც კონტროლის უფლებით იქმნებიან შემოსილნი. სახელმწიფოს ხარჯაღრიცხვა, გარეშე თუ შინაურ პოლიტიკას მთავრობა თავის საკუთარის ნებით გადასწყვეტს. ასე რომ რესკრიპტი არაფერს სცვლის არსებულ წყობილებაში. იგი გაგარეგნობით აფართოვებს მხოლოდ სახელმწიფო საბჭოს, რომელშიაც მოხელეებთან ერთად ვითომდა „ხალხის" წარმომადგენლებიც იქნებიან. ხოლო სახელმწიფო საბჭოს უფლებრივი კომპეტენცია ძველი დარჩება.

მაშ რაღა ამბავია? თუ რესკრიპტი არაფერს უმატებს მანიფესტს, რისთვის გამოაქვეყნეს იგი? და თუ იგი უმატებს და არსებითად სცვლის მანიფესტის აზრს, მანიფესტი რიღასთვის გამოაქვეყნეს?

აშკარაა, თვითმპყრობელობა ბინძურ ხასიათის თამაშს იწყებს. ნიკოლოზ მეორეს, მთელის თავის ჯალაბობა-ნათესაობით, არ ჰსურს იმპერატორის უფლებათა შეკვეცა. ორსავე დოკუმენტში თამამად აღიარებს ამას. და ყოველივე ეს 9 იანვრის ამბების შემდეგ! ხოლო კაცმა რომ სთქვას, ამ შემთხვევაში ლოღიკურად ირჯება ნიკოლოზ II. თავისი თავი ღვთის „ნამესტნიკად" მიაჩნია დედა-მიწაზე, თვითმპყრობელობას მის თვალში ღვთაებრივი სანქცია აქვს. ამისთანა ადამიანს ყოველი ნაბიჯი თავისუფლებისაკენ დიდ ცოდვად მიაჩნია. და რატომ მოელიან მისგან თავისუფლების ხარტიას? თავისუფლება არასოდეს არ ყოფილა მოწყალების საგნად. ვისაც თავისუფლება უყვარს, იგი ძალით იპყრობს მას და არ ელის იმ დროს, როდესაც მოწყალებასავით მიანიჭებენ. ხალხის მუქარისა ნიკოლოზს, ეტყობა, არ ეშინიან. ჯარის იმედი აქვს. ხოლო უკმაყოფილების დასაშოშმინებლად ისიც საკმარისი იქმნება, კონსტიტუციის აჩრდილი რომ ხალხს დავანახოვო და აი აქედამ წარმოსდგა რესკრიპტის გამოქვეყნების აზრი. წარმომადგენელებს მოვიწვევ, რჩევას ვკითხავ. ჩემგან ესეც დიდი წყალობაა. მართალია, წარმომადგენელთა აზრს, თუ ჭკვაში არ მომივიდა, ანგარიშს არ გავუწევ. ხოლო ესეც ბევრია რომ ვკისრულობ და სახელმწიფო საბჭოს დარბაზში ჩემგან დაჯილდოვებულ და პატივისმცემელ ღენერლებთან ერთად „ზემცებსაც" დავსვამო. უეჭველია, ხალხი მადლიერი დარჩება და ჩემთან ერთად ილოცებს ხელმწიფე იმპერატორის და მის საგვარეულოს დღეგრძელობისათვისო.

აი ნიკოლოზ მეორის მსჯელობა, აი მთავრობის განზრახვა და აზრი! მაგრამ ვგონებთ, მთავრობის იმედი ახლა კი სწორედ გამტყუნდება. ვგონებთ, ლიბერალების არც ერთ ფრაქციას არ დააკმაყოფილებს ხელმწიფის ამგვარი გამასპინძლება. რევოლუციონერებზე არას ვამბობთ, რადგან რევოლუციონერი თვითმპყრობელობას „კონცესიებს" არა სთხოვენ. რაც რევოლუციას ესაჭიროება, თავის გარჯით აიღებს. ხოლო უფლების ნასუფრალს კი ცხვირში მიახლის ლოცვებით გამოტვინებულ რუსეთის თვითმპყრობელს!

## რუსის ხალხი და რევოლუცია

ამბობენ, ყოველ ხალხს ისეთი მმართველობა ჰყავს, როგორისაც ღირსიაო. მართლაც, ხალხის მმართველობა იმდენად არის დესპოტური და შეუბრალებელი, რამდენადაც ხალხი პოლიტიკურად მორჩილია. და იგი იმ ზომამდე ხდება ლიბერალური, რა ზომამდეც თავისუფლების წყურვილი იზრდება ხალხის გულში.

რუსის ხალხის შესახებ, საზოგადოდ, ის აზრია გავრცელებული, რომ თვითმპყრობელობა მისთვის საუკეთესო ფორმაა მმართველობისა, რომ ხალხში პოლიტიკურ თავისუფლების მოპოვებისათვის არავითარი მოძრაობა არსებობს, რომ არსებითი თვისება რუსის ხალხისა მორწმუნეობაა, რომლის ზედგავლენით იგი გონების თვალით უფრო « საიქიოს » იყუ-

რება და ამ სოფლის მოუწყობლობას და მწუხარებას სრულიად არავითარ მნიშვნელობას აძლევსო. რელიგიოზურმა აღფრთოვანებამ ისეთი ღრმა ბეჭედი დაასვა რუსის ხალხის ხასიათს, რომ იგი არამც თუ არ ერიდება მწუხარებასა და ტანჯვასა, პირიქით თითქოს უყვარს იგი, თითქოს ტანჯვის პოეზიით სტკბება და წამებულთა მსგავს სულიერ მისწრაფებით სცოცხლობსო.

გარდა ამისა, ამბობენ იმასაც, რომ რუსეთში ხელმწიფობას იმიტომ აქვს ძალა, რომ იგი ხალხს ღრმად აქვს ძვალ-რბილში გამჯდარიო. ხალხსა და ხელმწიფის შორის თითქმის ყოველთვის თანხმობა იყოვო. და მათ შორის კედელი მხოლოდ პეტრე დიდის დროიდან აღიმართა, როდესაც რუსეთში მოხელეთა კლასი გაჩნდა და ხალხი მეფეს დააშორა. მოხელეთა კლასი (**средостѣніе**, როგორც უწოდებდნენ სლავიანოფილები) რომ ალაგმოთ და მოპოებული ძალა და გავლენა ჩამოართოთ, ხალხი ისევ დაუახლოვდება თავის მეფეს და მათს შორის ისევ მამაშვილური კავშირი დამყარდებაო.

მართლაც, რუსის ხალხის ფსიხოლოგიას რომ დააკვირდეთ, უნდა ვსთქვათ, რომ თითქმის დღევანდლამდე პოლიტიკური ფორმა მმართველობისა მას სრულებით არ აინტერესებდა. მის გულს აღელვებდა ორი რამ : — სარწმუნოება, ღვთისა ან სიკეთის ძიება და მიწის კითხვა. ეთიკურ ხასიათის მისწრაფებამ შეჰქმნა რუსეთში მწვალებელთა მოძრაობა, შეჰქმნა ეთიკურ მიმართულების ლიტერატურა და ფილოსოფია. რაიც შეეხება მიწას, რუსის ხალხს მიწა ყოველთვის საზოგადო კუთვნილებად მიაჩნდა და მიაჩნია დღესაც. იგი მტრულის თვალით უყურებდა იმას, როგორც ისტორიის მსვლელობაში, ძალმომრეობის და დაპყრობის ძალით, შესდგა რუსეთში მიწის კერძო მფლობელობა. ყველა მემამულეებს (თ.-აზნაურებს) დღესაც მტრულად ექცევა და სულ იმ დღის მოლოდინშია, როდესაც, მისის აზრით, მიწა-წყალი ისევ ხალხს დაუბრუნდება და საზოგადოებათა შორის თანაბრად გაიყოფება.

ეს წყურვილი მიწის გასაზოგადოებრივობისა ისეთი დიდი იყო რუსის ხალხში, რომ თავის სურვილი რუსეთის მეფესაც მიაკუთვნა. ხელმწიფეც ამ აზრით არის გამსჭვალულიო, სულ იმის ფიქრშია, რომ აზნაურებს და მოხელეებს მიწა-წყალი ჩამოართვას და ხალხს გადასცესო.

და როდესაც კი რუსეთში აგრარული მოძრაობა მომხდარა, ყოველთვის ხელმწიფის ავტორიტეტით სარგებლობდნენ მოძრაობის მეთაურნი. ეკატერინე დიდის დროს ცნობილმა პუგაჩევმა მეფის პეტრე მე-II შვილად გამოაცხადა თავი და ორენბურგიდამ მოყოლებული სამხრეთ-აღმოსავლეთის გლეხობა ფეხზე წამოაყენა მიწის მოპოებისათვის. მეცხრამეტე საუკუნეშიც, « ნაროდნიკები »’ც ხშირად მიმართავდნენ ხოლმე ამგვარ საშუალებას : მეფისგან მოწერილობაა, რომ მემამულეებს მიწა უნდა ჩამოერთვასთო. ხალხს ყოველივე ეს სჯეროდა. მეფე შორს იყო იმისგან, მმართველობის მეხანიზმის გაგება ისეთი ძნელი იყო ხალხის პოლიტიკურ უმეცრების გამო, რომ მან ვერ შეიგნო, რა ადგილი უჭირავს მეფეს ამ მმართველობის სისტემაში და რანაირად სჩაგრავს იგი ხალხს ამ სისტემის მეოხებით. მემამულენი და მოხელენი კი ხალხს იქვე ჰყავდა. ერთნი მიწას ართმევდნენ, მეორენი სახელმწიფო ბაჟს ახდევინებდნენ. და შეიძულა ხალხმა მემამულენიც, მოხელენიც ისე, როგორც შეიძულებენ ხოლმე ქარხნის მუშები იმ მანქანებს, რომლებსაც ქარხანაში ამუშავებენ. მუშები ხშირად ამ მანქანებს ამსხვრევენ ჯავრის ამოსაყრელად, თითქოს მათის შევიწროვებისათვის ამ მანქანებს ედებოდესთ ბრალი. ამრიგადვე ხალხი ხშირად კერძო მემამულეებს და მოხელეებს მიუვარდებოდა ხოლმე და მათს მკვლელობაში ჯავრს ყრილობდა, თითქოს ხალხის დაჩაგვრა-დამონება კერძო პირების და არა მთელ სისტემის მიერ ყოფილიყო გამოწვეული — იმ სისტემისაგან, რომლის მეხანიზმი ხალხს არ ესმოდა.

და შორს რომ არ წავიდეთ და 9 იანვარს მომხდარი საზარელი ამბები რომ გავიხსენოთ, იმავე აზრის დასამტკიცებლად ბევრ საბუთს ვიპოვნით. ხალხი თხოვნით *მეფესთან* მიდიოდა. ხალხს წინ მიუძღოდა *მღვდელი*, რომელსაც ხელში *ხატი* ჰქონდა. წამოსვლამდე, როგორც დამსწრენი ამოწმებენ, ხალხი საეკლესიო საგალობლებს გალობდა და მის გულში რაღაც მისტიური აღფრთოვანება სუფევდაო. « სალდათები თოფებს როგორ დაგვიშენენ, ჩვენი ძმები არ არიან განა » ? — ფიქრობდა ხალხიო.

ზოგსა ჰგონია, ვითომ ხატი და მეფის სურათი მხოლოდ პოლიციის თვალის ასახვევად მიჰქონდათო. მაგრამ ეს შემცდარი აზრია. ხატიც და მეფის სურათიც სიმბოლოები იყო ხალხის გულში არსებულ გრძნობებისა. რასაკვირველია, რუსეთში სხვა მუშებიც არიან, ნამდვილი რევოლუციონერები, რომელთაც არც ღმერთისა, არც მეფისა და არც ბატონისა აღარა სწამთ-რა. ხოლო სიმართლე მოითხოვს იმის თქმას, რომ კვირას, 9 იანვარს, ამგვარი ელემენტი უმცირესობა იყო. და სწორეთ ამ გარემოებას აქვს დიდი მნიშვნელობა რუსეთის რევოლუციისათვის.

9 იანვარს რუსეთის ხალხმა ხანგრძლივ ძილისაგან გამოიღვიძა. მის თვალწინ დახვრიტეს « წმიდა » ხატები, ნაკუწ-ნაკუწად აქციეს. და ღმერთს ხელიც არ გაუნძრევია « წმიდა » ხატის დასაცავად. არც ამისათვის გაუნძრევია ხელი ღმერთს და არც ხალხს მიშველებია. იგი გულგრილად უყურებდა, თუ როგორ ჟლეტდნენ მართმადიდებელ ხალხს ! მაშ ღმერთს მკვლელების მხარე უჭირავს ? მაშ ღმერთი სიბოროტის წინააღმდეგ თითს არ ანძრევს ? თუ მაგრეა, არ გვინდა დამარცხებული ღმერთი, არ გვინდა ხატი, რაკი ასეთი უძლური ყოფილაო.

ხელმწიფე ? ხელმწიფე, მამად რომ ვსახავდით ? კაი მამაა, თქვენმა მზემ, შვილებს ტყვია-ხიშტებით დაუხვდა !.. რაიმე ურჩობა რომ ჩაედინათ, კიდევ გვესმის. მაგრამ განა ხალხს რაიმე სხვა დანაშაულობა მიუძღვის თვინიერ იმისა, რომ მოინდომა ხელმწიფესთან მისულიყო და უშუამავლოდ მოეხსენებინა მისთვის თავისი საჭიროებანი ? აკი ხელმწიფესა და ხალხს შორის ზნეობრივი კავშირი არსებობსო. აკი ყველაფერში მოხელენი იყვნენ დამნაშავენი ! ხელმწიფეს არ ატყობინებენ ხალხის გაჭირვებას, თორემ ხელმწიფე სხვანაირად მოიქცევოდაო. ახლა ხომ იცოდა ხელმწიფემ, რომ იმასთან მივდივართ, იმისგან მოველით სამართალს ? იცოდა და მიუხედავად ამისა ისე დაგვიხვდა, როგორც მტრებს. მაშ რაღა ამბავია ? თუ მაგრეა, არ გვინდა ხელმწიფე, არ გვინდა მოღალატე და სისხლის მღვრელი ხელმწიფე...

ასე ჰფიქრობდა 9 იანვრის ამბების შემდეგ რუსის ხალხი. და ეს ევოლუცია ისეთის სისწრაფით

მოხდა მის გულში, რომ ამტერებს ადამიანს. კვირას დილით ხალხს არავითარი განზრახვა ჰქონდა ძალმომრეობისათვის მიემართნა. თვით ხოცვის დროს ისეთი ძლიერი იყო მისი ზნეობრივი განცვიფრება, რომ თავის დაცვის სურვილი არც კი ებადებოდა. ბევრ ადგილს გაქცევის მაგიერ, ხალხი მიწაზე წვებოდა, თითქოს უნდოდა ეთქო ამითი: დაგვხოცეთ, უდანაშაულო და უიარაღონი ვართ. თქვენთვის ცუდი არა გვინდა-რა. დაგვხოცეთ, ალბად, რაიმე შეგვიცოდავსო! ხოლო იმ დღესვე საღამოს ჟამს კი ვასილიევის კუნძულზე უკვე აღმართული იყო ბარიკადები გამწარებულ და გონს მოსულ მუშების მიერ. ომნიბუსები, ბუდკები, მარხილები, ერთის სიტყვით, რაც რამ მოხვდათ ხელში, ერთად შეაგროვეს,ააყუდეს და ციხე გაიმართეს. იარაღიც იშოვეს, დაეცნენ მაღაზიებს, სადა იარაღი ეწყო, გამოიტანეს ხმლები, თოფები, რევოლვრები. წინააღმდეგობის გაწევის და შურისძიების სურვილმა სხვაგანაც იჩინა თავი. 9 იანვარს, ღამეს მუშები ამსხვრევდნენ შუშებს იმ სასახლეებში, სადა მეფის დედა და ბიძები იმყოფებოდნენ. ერთის სიტყვით მისტიური აღფრთოვანება ორთქლსავით გაქარწყლდა და პასივურმა მორჩილებამ მრისხანებას დაუთმო ადგილი. ეს მარტო პეტერბურგის მუშათ წრეებში კი არ მომხდარა, მთელმა რუსეთმა მისცა ბანი თავიანთს ჩრდილოეთის მოძმეებს!

ამიტომ არის, 9 იანვარი 1905 წლისა ისტორიულ დღედ უნდა ჩაითვალოს, რადგან რევოლუციის დასაწყისი ამ დღიდამ უნდა ითვლებოდეს. მართმადიდებლობას და თვითმყრობელობას ამ დღეს შეერყათ საფუძველი. გამოფუტუროებული, გვერდზე წამოხრილი შენობა რუსეთის ძველ რეჟიმისა დღეს არა, ხვალ ჩამოინგრევა. ამ დანგრევის დროს, უეჭველია, ხალხს კიდევ იმსხვერპლებს, ხოლო ეს იქმნება მსხვერპლი უკანასკნელი!

## რუსეთის მთავრობა ევროპიულ პრესის სამსჯავროს წინაშე

ინგლისური გაზეთი « Daily Mail »'ი ამბობს:

„მთელს ქვეყანას აღშფოთებს ის ამბავი, რომ უიარაღო ხალხი, აგრეთვე ქალები და ბავშვები ათასობით დახვრიტეს. განათლებული კაცობრიობა დიდხანს ვერ დაივიწყებს ამ ძალმომრეობას, ამ ჟლეტას, რაიცა დიდ-მთავრებისა და ბიუროკრატიის წყალობით მოხდა ".

« Daily News » სწერს:

ნიკოლოზ მე-II ისეთი ავაზაკობა ჩაიდინა, რომ მთელი განათლებული ქვეყნიერობა აღშფოთდება და გაბოროტდება მისს წინააღმდეგ. თავისის საქციელით რუსეთის დესპოტმა გადაიკიდა არამცთუ თავისი ქვეშევრდომნი, არამედ კაცობრიობაც. ამ ამბის შემდეგ უფრო ადვილად დაიმსახურებს მთელის საქრისტიანოს სიბრალულს რუსეთის ხალხი, თავისუფლებისათვის მებრძოლი. ხოლო ხელმწიფემ კი სამარადისოდ დაღუპულად უნდა ჩაითვალოს თავისი თავი. ხალხმა სთხოვა — უთანხმოება მშვიდობიანის გზით გადავსწყვიტოთო; იმან კი რევოლუცია არჩია, „მამა" თავისს ხალხის მკვლელად გადაიქცა ".

ჟან ჟორესი გაზეთ « l'Humanité »'ში:

... დღემდე შეიძლებოდა ვისმე ეფიქრნა, რომ ხელმწიფე მთლად პასუხისმგებელი არ არის არც კიშინევის ამბისათვის, რომელიც ნაყოფია რეაქციისა, არც ამ აღსაშფოთებელ და საბედისწერო ომისათვის, რომელიც მის საპყარ გონებას აუცილებლად უნდა გამოეწვია. დიაზ, აქამდე ყველაფერს სხვებს აზვევდნენ თავზე. მაგრამ ახლა კი ხალხს პირდაპირ მისთვის უნდოდა მიემართნა. პეტერბურგის მუშებს სწორედ ხელმწიფესთან უნდოდათ ელაპარაკნათ და ეთხოვათ ცოტაოდენი თავისუფლება, ცოტაოდენი ადანური უფლება. და სწორედ ხელმწიფემ არ მიიღო მუშები. ხელმწიფე იყო, რომ ბრძანება გასცა, საზამთრო სასახლემდე არ მიეღწია ხალხის ჩივილის სასოწარკვეთილ ხმას, რომელიც გამომთქმელი იყო რუსეთის ერის სურვილისა. სწორედ ხელმწიფე იყო, რომ პეტერბურგის გარედან, თოვლისა და სალდათების შემწეობით დაფარულ ცარსკოე სელოს სასახლიდან, ტუჩები და ყურები ტელეფონზე მიდებული, საშინელს დრამას, სისხლის ღვრისა და ხოცვა-ჟლეტის დრამას, რომ უყურებდა. ხელმწიფემ მიუსია ჯარი ხალხს და მისს გულს ოდნავაც არ მიჰკარებია სიბრალულის გრძნობა, ოდნავაც არ გაუტარებია გულში აზრი ამ დრამის აცილებისა. და ხალხის ხოცვა იმიტომ ბრძანა, რომ აბსოლუტიზმი ეხსნა, ეხსნა თავისი ბრძანებლობა, რომელმაც რუსეთი სამარის კარამდე მიიყვანა. სწორედ ხელმწიფემ და არა სხვამ ვინმემ დაახოცვინა ხალხი, რომელიც სთხოვდა, სამშობლოს თავისუფლება მიანიჭე და იხსენ განსაცდელისაგანო. დიაზ, ხელმწიფეა კაცის მკვლელი, იმან გააჟლეტინა თვისნი ქვეშევრდომნი ".

ანრი როშფორი « L'Intransigeant »'ში:

„ რუსის ერს თავისი ხელმწიფე თვით ღვთის წარმომადგენლად მიაჩნდა და მისს სახელს მოწიწებით იხსენიებდა. დღეს კი დაინახა, რომ ისიც უბრალო მომაკვდავი ყოფილა და გონებრივი და ზნეობრივი ნაკლულევანება მისი თავის თვალით დაინახა. განიოორწყლებული გასრესილი, დამცირებული ამდენ დამარცხებათა წყალობით, ახლა ეს ერი თამამად იძახის: შური უნდა ვიძიო, ვინც ამ უბედურებაში ჩამაგდოვო ".

ჟერო რიშარი « Petite Republique »'ში:

„ ხალხის ჟლეტა იყო. ხელმწიფემ თავის ხალხს თოფები დაუშინა. მისი ოეთრი ტანისამოსი თავის ხალხის სისხლით არის შეღებილი. დღეის ამას იქით ნიკოლოზ მე-II მამა კი არ არის თავის ხალხისა, ჯალათია.

ეს სისხლი საჭიროც იყო. ეს სისხლი რომ არ დანთხეულიყო, რუსის მუშა ხალხს კიდევ ეგონებოდა, ხელმწიფე კეთილიაო. მაგრამ ახლა კი ყველა დარწმუნდა, ყველამ დაინახა სიმართლე. ყველამ დაინახა, რომ ხალხის მწუხარებას მაშინ-ღა მოეღება ბოლო, როცა ბოლო მოეღება თვით ხელმწიფეს. შეიძლება ხელმწიფემ არ იცოდა ყველა ის ბოროტებანი, მისის სახელით რომ ჩაუდენიათ რუსეთში. მაგრამ ეს სრულიადაც არ ამცირებს მისს დანაშაულობას. მისმა მოხელეებმა ავკაცობაზე ხელი რომ აიღონ, მაშინ თვით ხელმწიფესაც მოეღება ბოლო. სასახლე, ჟანდარმები, მოხელენი ამ გამოტვინებულ, მშიშარა, უგონო, საკუთარ აზრს მოკლებულ არსებას ემსახურებიან და იმით არსებობენ.

გუშინდელმა ჟლეტამ მოჰკლა ლიბერალიზმიცა, რომელიც უნდა დაბადებულიყო. ბოროტებას უფრო ღრმად აქვს ფესვება გადგმული და მისი აღმოფხვრა ფორმის მსუბუქ შეცვლას არ შეუძლია. ბურჟუა, მუშები, სტუდენტები და მოაზრენი ყველანი ერთხმად აღიარებენ, რომ თვითიპყრობელობასა და თავისუფლებას შორის გასავლელი ეტაპი არ არსებობს, და მხოლოდ რესპუბლიკას შეუძლია ყველანი დაიხსნას დაღუპვისა და სიკვდილისაგან.

**შემოწირულება:** მივიღეთ « გველეშაპის », « დამმის » და « ბრძოლა »-საგან, აგრეთვე კიეველ, ქუთათელ, ბათომელ და სხვა მეგობრებისაგან შემოწირულება სარევოლუციო საქმისათვის.

რედაქციამ მიიღო პროკლამაცია: „ კაავკასიის ყველა ერებს ", რომელიც გამოცემულია ტფილისში 12 თებ. 1905. ხელს აწერენ: კავკ. კავშირის კომიტეტი რ. ს.-დ. მ. პარტიისა, ტფ, კომიტეტი „ ხანჩაკი ", ტფ. კომიტეტი ქართვ. სოც.-ფედერ. სარევ. პარტ, „ საქართველო ", ტფ. კომიტეტი სოც.-რევოლუციონერებისა და კავკ. პასუხისმგებ. კომიტეტი სომეხ. სარევ. კავშირი „ დაშნაკცუტუნ ".

გაზ. „ საქართველოს" სტამბა. 51, rue Saint-Sauveur, Paris.